საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

25.12.2024

N 5674

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს ნ. სხირტლაძეს

სს „საქართველოს რკინიგზაში“ შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 20 ნოემბრის #6/67081 წერილი, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში განლაგებული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 43.40.42.403) პრივატიზების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები (შეზღუდვები). უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.

მიწის ნაკვეთზე დაცული უნდა იყოს საგაბარიტო ზომები, კერძოდ განაპირა ლიანდაგის ღერძიდან 11 მეტრის მანძილზე დაუშვებელია შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ტერიტორიაზე დაგეგმილი ნებისმიერი მშენებლობის პროექტი წინასწარ უნდა იყოს განხილული სს „საქართველოს რკინიგზაში“.

ზემოთ მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში განლაგებული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 43.40.42.403) პრივატიზების.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე

თამარ მეფის გამზირი N15
თბილისი, საქართველო 0102

N15, Tamar Mepe Ave
0102, Tbilisi, Georgia 0102

Tel : 219-95-67 ; 219-91-59
Mail : Kancellary@railway.ge

ს/კ : 202886010